

მაია ცერცვაძე

Maia Tsertsvadze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

ენერგეტიკის ფაკულტეტი

Faculty of Power Engineering

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციისა და მრწამსის შესახებ¹

About the Political Orientation and Creed of Nikoloz Baratashvili

The political orientation and creed of Nikoloz Baratashvili are some of the issues that caused the scientific interest of the researchers of his life and work. They tried and are still trying to find out the attitude of the poet towards such historical events, which are the signing of the 1783 Georgievsky treaty by the Kingdom of Kartli-Kakheti to get the Russian protectorate and its political consequences (loss of the country's independence, abolition of the royal throne...). This research of scientists is characterized by one feature – when discussing the issue, the poetry by Nikoloz Baratashvili, especially his historical poem “Fate of Kartli” is chosen. As it is known, the characters of this poem – King Erekle and his judge Solomon Lionidze have a heated polemic on the controversial issue of entrusting the fate of the country to Russia and are trying to justify their conflicting attitudes.

Recently, remarkable works of Georgian literary scholars were published, the authors of which (T. Doiashvili, L. Bregadze) consider such attempts to clarify the poet's political orientation and creed as inappropriate. According to them, the main mistake here was and is the fact that the artistic character of texts chosen for analysis is not taken into account, in particular, the worldview principle of romantic irony, which is characteristic of romantic authors and which is reflected in their prose or poetic texts, is neglected.

¹ კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური ორტომეულის გამოცემა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ციფრული მატრიანის მომზადება“ (#FR-23-10216) ფარგლებში.

We fully share the argumentation and point of view of the above-mentioned scholars and consider that the study of Nikoloz Baratashvili's political creed should be continued in such a way as to distinguish him, on the one hand, as a romantic poet, and on the other hand, as a historical person. In research, we should focus not on his poetry, but on the biographical material that we have mainly as a result of the critical study of the memories of the poet's contemporaries and other sources, and his epistolary heritage – nonfiction, which is more reliable for our intended purposes than his poetic works.

The presented article is an attempt to clarify the poet's political orientation and creed on this basis.

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაცია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, გეორგიევსკის ტრაქტატი, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობა

Keywords: Nikoloz Baratashvili, Nikoloz Baratashvili's political orientation, Russia-Georgia relations, Georgievsky Treaty, conquest of Georgia by the Russian Empire

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაცია და მრწამსი ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც იმთავითვე იწვევდა მისი ცხოვრება-შემოქმედების მკვლევართა (ლიტერატურათმცოდნეთა, ისტორიკოსთა...) სამეცნიერო ინტერესს. წლების განმავლობაში ისინი ცდილობენ გაარკვიონ პოეტის დამოკიდებულება იმ ისტორიული მოვლენებისადმი, რასაც ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ რუსეთის პროტექტორატის მისაღებად 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერა და მისი პოლიტიკური შედეგები (ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა, სამეფო ტახტის გაუქმება...) წარმოადგენს. აღსანიშნავია ერთი თვისებურება, რომელიც მეცნიერთა ამ კვლევებს

ახასიათებს – ეს არის საკითხის განხილვისა და მასზე რეფლექსირებისას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ტექსტების, კერძოდ, ლექსების („სუმბული და მწირი“ (1842), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842), „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს“ (1844)) და უპირატესად პოემის „ბედი ქართლისა“ (1839) მომარჯვება. ამ უკანასკნელის პერსონაჟებს – მეფე ერეკლესა და მის მსაჯულ სოლომონს, როგორც ცნობილია, გამართული აქვთ მწვავე პოლემიკა ქვეყნის ბედის რუსეთისადმი მიწოდების სადავო საკითხზე და თავთავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულების დასაბუთებას ცდილობენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მეფის, ხოლო მეორე მსაჯულის პოზიციის მატარებლად და გამომხატველად მიიჩნევს თავად ნიკოლოზ ბარათაშვილს, რაც მათ ნაშრომებში, პოეტისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმებსა და გამოცემებშიც ხშირად არის გაცხადებული.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა საყურადღებო ნაშრომები, რომელთა ავტორები (თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე) არამართებულად მიიჩნევენ პოეტის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის ამგვარად გარკვევის მცდელობებს. მათი აზრით, მთავარ შეცდომას ამ მცდელობებში წარმოადგენდა და წარმოადგენს ის, რომ არ არის გათვალისწინებული საანალიზოდ აღებული ტექსტების მხატვრული ხასიათი, კერძოდ, უგულვებელყოფილია რომანტიკული ირონიის მსოფლმხედველობრივი პრინციპი, რაც რომანტიკოს ავტორებს ახასიათებს და რაც მათ პროზაულ თუ პოეტურ ტექსტებში აისახება. თვალი გადავავლოთ ამ ბოლოდროინდელი კვლევების მთავარ დებულებებს, რომლებიც რომანტიკული ირონიის რაობასაც შეგვახსენებს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, უპირატესად, განიხილებოდა, როგორც ლოგიკური დისკურსი „რეალურ-ისტორიულ დილემაზე“ (გ. ასათიანი) და არა როგორც რომანტიზმის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონცეფციაზე დაფუძნებული მხატვრული ტექსტი...“ (დოიაშვილი, 2017, გვ. 71).

„რომანტიკული ცხოვრების კონსტრუირებისათვის და რომანტიკული მხატვრული ტექსტების შესაქმნელად პოლარობები აუცილებელია“ (ბრეგაძე, 2017, გვ. 471). „ურთიერთგანმაპირობებელი, ურთიერთდამაბალანსებელი პოლარობების როლისა და მნიშვნელობის

გაცნობიერება იწვევს ე. წ. რომანტიკულ ირონიას ... ყოფითი ირონიისაგან განსხვავებით, რომელშიც სუბიექტური მომენტი ჭარბობს, რომანტიკული ირონია ღრმა, ობიექტური ირონიაა, რომლის ფესვები თვით სამყაროს ობიექტურ წინააღმდეგობრიობაში არის საძიებელი“ – წერს ლ. ბრეგაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში (ბრეგაძე, 2017, გვ. 469).

„რომანტიკული ირონიის კონტექსტში „ბედი ქართლისა“ ისტორიული რეალობის ჭრილში იკითხება როგორც მწარე ირონია სინამდვილის სარკაზმზე და აუცილებლობის წინაშე სუბიექტის უძლურებაზე, ხოლო კონცეპტუალურ პლანში – როგორც ილუზორული ამაღლება „ბედის“ გარდუვალობაზე და რომანტიკული იდეალის (თავისუფლების) დამკვიდრების მარადიული სურვილი“ (დოიაშვილი, 2017, გვ. 72). „არა მართებული ჩანს ავტორის კონკრეტული რეალურ-ისტორიული თვალსაზრისის ძიება, რადგან ამ დროს, ნებისთ თუ უნებლიეთ, ხდება პოეტი-ფილოსოფოსის ჩანაცვლება ისტორიკოსით“ (დოიაშვილი, 2017, გვ. 71).

ვიზიარებთ რა სრულად ზემოხსენებულ მეცნიერთა არგუმენტაციას და თვალსაზრისს, ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციისა და მრწამსის საკითხის კვლევა უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ განვასხვავოთ ის, ერთი მხრივ, როგორც რომანტიკული ტექსტების ავტორი და, მეორე მხრივ, როგორც ისტორიული პირი, და დავეყენოთ არა მის პოეზიას, არამედ იმ ბიოგრაფიულ მასალას, რომელიც პოეტის თანამედროვეთა მოგონებებისა და სხვა წყაროების კრიტიკული შესწავლის შედეგად გაგვაჩნია და მეტწილად მის მრავალმნიშვნელოვან ეპისტოლურ მემკვიდრეობას. მართალია, ამ უკანასკნელის პოეტიკის კვლევამ აჩვენა, რომ ის მეტად ხატოვანია და გაჯერებულია მხატვრული ენის კომპონენტებით, რომელთა შორის ნ. ბარათაშვილის პოეზიის მსგავსად „პოლარობების“ გამომხატველი ანტითეზებიც გვხვდება, მაგრამ პოეტის პირადი წერილები მაინც ნონფიქშენს მიეკუთვნება და ამდენად უფრო საიმედოა დასახული კვლევის მიზნებისათვის, ვიდრე მისი პოეტური ნიმუშები.

ჩვენი სტატია წარმოადგენს სწორედ ამ საფუძველზე ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციისა და მრწამსის გარკვევის ცდას.

ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალი კონსტანტინე მამაცაშვილი (1818-1900), რომელიც ამავდროულად იყო პოეტის მეგობარი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლიდან, თავის ცნობილ მოგონებაში გვიყვება:

„მახსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერათ ხუმრობდა; მემრე ჩამოვარდა ლაპარაკი **ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე 18 საუკუნისა** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ც.), მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზე, ჩვენის თბილისის წახდენაზე 1795 წელსა, 12 სექტემბერს **და სხვა...**

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

– **ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა!** და ოხვრით დაუმატა:

– **ვაი ჩვენო ქართლის ბედო!**

დიდხანს დავდიოდით თავ-ჩაღუნულნი და მოწყენილნი...“ (მამაცოვი, 1881, გვ. 2).

მოგონების ციტირებული ტექსტი, ვფიქრობთ, სრულიად აშკარად ამჟღავნებს ნ. ბარათაშვილის უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის „მფარველობის“ სიკეთისა და ერეკლე II-ისგან მოთხოვნილი პროტექტორატის ნაცვლად იმ იმპერიალისტური პოლიტიკისადმი, რომელსაც რუსეთის მხრიდან ქართული სახელმწიფოსა და მისი სამეფო ტახტის გაუქმება და შემდგომ ქართველი ხალხის კოლონიური ჩაგვრა მოჰყვა. გიმნაზიელი პოეტის ცრემლები, ოხვრა და რიტორიკული შეძახილები: **„ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა!“** და **„ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“** ამ განწყობის უტყუარი გამომხატველი და მაჩვენებელია.

მივმართოთ კიდევ ერთ მოგონებას. იასე ანდრონიკაშვილი იხსენებს:

„კნიაზ“ ერისთავის ქორწილზე ბევრი ხალხი იყო. ივან მაღხაზიჩი (ანდრონიკაშვილი, – ს. ც.) მეორე ოთახში იყო და იქ ჰქონდა გაშლილი სუფრა. ქეიფი გაიმართა. ოროველა და

სხვა ბევრი სიმღერები შემოსძახეს.

– თქვე დურაკებო, ბრიყვებო, ხელმწიფე მომკვდარა, რა გემღერებათო, – დაიყვირა მალხაზიჩმა. ტატო ბარათაშვილი დიდი ყანწით ღვინოსა სვამდა და უცბად:

– **ვინ ხელმწიფე, მისი დედაც მ...**

– Арестовать!

ტატო გამოხტა გარეთ, შეჯდა ცხენზე და მოჰკურცხლა.

– ეხლა უბრძანე, კნიაზ, „არესტუი“...“ (ცაიშვილი, 1940, გვ. 385).

ორიოდე სიტყვა მოგონების ავტორის შესახებ. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ სამეცნიერო სიახლეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევაში, რომლის დიდი ნაწილი პოეტის წერილების ფიგურანტების იდენტიფიკაციას უკავია, წარმოადგენს შემდეგი: ანთროპონიმ „იასეში“, რომელიც გვხვდება მის ორ წერილში (1. 1842 წლის 2 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი; 2. 1842 წლის 31 ოქტომბრის წერილი მაიკო ორბელიანისადმი), ნაგულისხმევი პირი არ არის ერთი და იგივე ადამიანი, – ნ. ბარათაშვილის წერილების წინარე გამოცემების უკლებლივ ყველა კომენტატორი ამ წერილებში ნახსენებ „იასეებს“ ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაგიმნაზიელ იასე (ევსევი) ადამის (ივანეს) ძე ანდრონიკაშვილად (1813/14-1892) (ილია ჭავჭავაძის..., 2022, გვ. 123-124) მიიჩნევდა. წყაროების შესწავლისა და საკითხის საგულდაგულო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გრიგოლ ორბელიანთან მიწერილ წერილში ნახსენები „იასე“ არის არა ზემოთნახსენები სამოქალაქო მოხელე, არამედ სამხედრო პირი იასე იოსების ძე ანდრონიკაშვილი (1798-1863).

ვრცლად ამის შესახებ იხ. (ბარათაშვილი, 2015, გვ. 93-94, გვ. 106-107); (ცერცვაძე, 2019, 53-55). გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელ „იასეს“ ეკუთვნის ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული მოგონება ნ. ბარათაშვილზე, ძნელია, – სამწუხაროდ, დამოწმებულ პუბლიკაციაში ავტორის მაიდენტიფიცირებული ცნობები (დაბადება-გარდაცვალების წლები ან სხვ.) მითითებული არ არის და სასურველია, რა თქმა უნდა, ამის დადგენაც. ერთი რამ კი ცხადია – რადგან ორივენი პოეტის წერილების ფიგურანტები და, შესაბამისად, მასთან დაახლოებული პირები არიან, რომელი მათგანიც არ უნდა იყოს მოგონების ავტორი,

ის ანგარიშგასაწევ წყაროდ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ პუბლიკატორს ის დამოწმებული აქვს ბ. ბარათაშვილის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფოსის იონა მეუნარგიას უბის წიგნაკიდან და გასაზიარებელია მისი მოსაზრება: „რაც შეეხება იასე ანდრონიკაშვილის ცნობას, ის ერთგვარი ანაქრონიზმია იმ მხრივ, რომ იმ ხანებში არც ერთი მეფე თუ ხელმწიფე არ მომკვდარა (თუ არა რომელიმე ბაგრატიონი – ბატონიშვილი), მაგრამ ცნობა მაინც პოეტის სულისკვეთებისა და განწყობილების მკვეთრი გამომხატველია“ (ცაიშვილი, 1940, გვ. 385). ჩვენი მხრივ დავძენთ შემდეგს: „მალხაზიჩის“ (იგულისხმება გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1796-1868)) მიერ ქორწილის სუფრაზე გამოცხადებული ეს ცნობა ხელმწიფის სიკვდილის შესახებ, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა და ის ხუმრობად (ან შეიძლება გავრცელებულ ჭორად) უნდა ჩაითვალოს – ნ. ბარათაშვილის სიცოცხლეში რუსეთის მხოლოდ ერთი იმპერატორი, ალექსანდრე I (1777-1825) გარდაიცვალა იმ დროს, როცა პოეტი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი – რვა წლის იყო და ამ ასაკში ის, ბუნებრივია, ვერც „დიდი ყანწით ღვინის“ სმას შეძლებდა და ვერც ასეთი რეაქცია ექნებოდა თანამეინახის ნათქვამზე. მიუხედავად ამისა, მემუარისტის მიერ გადმოცემული პოეტის ქცევა, – ხელმწიფის შეგინება და შემდეგ დასჯის თავიდან აცილების მიზნით ცხენზე ამხედრება და გაქცევა, – ნათლად გამოხატავს პოეტის დამოკიდებულებას „რუსთ ხელმწიფისადმი“ (ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, აქ რომელიმე ბატონიშვილი-ბაგრატიონი იგულისხმებოდეს და ასე შეხვედროდა თავადაც სამეფო წარმომავლობის პოეტი მისი სიკვდილის შესახებ ცნობას) და გამოგვადგება ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ ორიენტაციაზე სამსჯელოდ. აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ იმის გამო, რომ მეტად მწირია ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიული ეპიზოდების შესახებ ცნობები, რაც ყოველთვის უქმნიდა და უქმნის დიდ სირთულეებს მის მკვლევრებს, დამოწმებული მოგონების აქტუალიზება და ჩართვა თანამედროვე ბარათაშვილოლოგიურ კვლევებში, ისევე როგორც ყველა სხვა, თუნდაც ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცნობისა, მიზანშეწონილად და აუცილებლად მიგვაჩნია.

ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების განხილვამდე გვინდა შევხოთ იმ მნიშვნელოვან ეპიზოდებს რომანტიკოსი პოეტის ცხოვ-

რებიდან, რომლებიც 1832 წლის შეთქმულებას უკავშირდება. მისი სანაცნობო წრის შესწავლამ ცხადყო, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა შეთქმულებთან (ცერცვაძე, 2019, გვ. 108-118). ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ შეთქმულებისადმი მეტ-ნაკლებად შესწავლილია (ინგოროყვა, 1969, გვ. 37-54), (ბალახაშვილი, 1968, გვ. 131-139), (ჯეირანაშვილი, 1997, გვ. 106-109) და მას დეტალურად აღარ შევხებით. გასახსენებლად ვიკმარებთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს მისი ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფოსის თხზულებიდან, რომელიც პოეტის თავის მასწავლებელთან, შეთქმულების თავკაც სოლომონ დოდაშვილთან ურთიერთობას შეეხება.

„ნიკ. ბარათაშვილის შესახებ ცნობა არის დარჩენილი, რომ სოლომონ დოდაშვილს ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ (იგულისხმება შეთქმულთა წრე – მ. ც.) წევრათ დიდის პატივის ცემით მიუღიათ... გარდა პოეტურის ღირსების და მამულისშვილურის იდეის. ს. დოდაშვილი ნიკო ბარათაშვილს სხვა ღირსებაც ბევრი რამ სცოდნია. თვით. ნიკ. ბარათაშვილიც სოლ. დოდაშვილს დიდათ აფასებდა, ამიტომა იყო, რომ ნ. ბარათაშვილი სოლ. დოდაშვილთან ყოველს დღეს დაიარებოდა, როგორც სახლში, ისევე „თფილისის უწყების“ რედაქციაში, სტამბაში და ყველგან, სადაცკი სოლ. დოდაშვილი იქმნებოდა“ (ჭიჭინაძე, 1919, გვ. 14-15).

„აი, რა სთქვა ერთხელ პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა: ...თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკ. ბარათაშვილი ყოფილიყოს, ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა“ (ჭიჭინაძე, 1919, გვ. 15).

ახლა თვალი გადავავლოთ ნ. ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობას და ვნახოთ, რა შეიძლება შევიტყოთ ამ წერილებიდან ადრესანტის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ.

მოვიხმოთ ქრონოლოგიურად ამონარიდები პოეტის ეპისტოლეებიდან.

1. გრიგოლ ორბელიანთან 1837 წლის თებერვალში გაგზავნილ წერილში, რომელშიც ჩართულია ბიძისადმი მიძღვნილი პოეტის

ლექსები „მია გ-...სთან“ და „ღამე ყაბახზედ“, ვკითხულობთ: „*მიავე, ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა. მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი, როგორ მომხდარიყო, იქნება, დაკარგულიყო, და მერმე: პ ...*“ (ბარათაშვილი, 2015, გვ. 18).

ხაზგასმულ ფრაზაში იგულისხმება როგორც წერილის დაკარგვის, ისე ცენზურის საფრთხე. მკვლევარ მიხეილ კეკელიძის აზრით, ტექსტის ბოლოს „პ...“ უნდა წავიკითხოთ, როგორც „პ[ატიმრობა]“. „ფოჩტასა“ და პ[ატიმრობა]სთან დაკავშირებით ცნობილია შემდეგი:

„პოეტი ამბობს, რომ **ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ**, ჩანს, რომ ფოჩტასთან დაკავშირებით მას რაღაც დიდი უსიამოვნება უკვე შეხვედრია. ეს უსიამოვნება 1832 წლის შეთქმულების გამო შეხვდა პოეტს. „იქნება დაკარგულიყო და მერე პ.“ სხვა არაფერია თუ არა შეფარვით თქმული: იქნება ფოჩტაში ვინმეს გაეხსნა წერილი და ლექსი წაეკითხა, რასაც მოჰყვებოდა ავტორის (ნ. ბარათაშვილის) ხელახლა პ.[ატიმრობა]. აი, სწორედ ამის გამო დავაგვიანე ლექსებისა და წერილების გამოგზავნაო, აცნობებს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი“ (ბალახაშვილი, 1968, გვ. 138-139).

უსიამოვნება, რომელზეც საუბრობს მკვლევარი, შემდეგში მდგომარეობს: 1833 წელს, ნ. ბარათაშვილს დაუწერია სატირული ლექსი, სავარაუდოდ, 1832 წლის შეთქმულების გამცემლობაზე და თავისი თანაგიმნაზიელი მეგობრების დახმარებით ფოსტით გაუგზავნია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილისათვის (1790-1855). მთავრობა შესდგომია საქმის კვლევას და საგანგებოდ გაუფრთხილებია ფოსტა. ფოსტის მმართველობისათვის უცნობებიათ, რანაირად იყო დაბეჭდილი პატაკი, რომლითაც მიუვიდა ის ადრესატს და ფოსტის აპარატისთვის დაუვალეობათ თვალყურის დევნება წერილების ბეჭდებისათვის, რათა ამ გზით გამოერკვიათ დამნაშავე. ასეც მოხდა. რადგან დამნაშავენი არასრულწლოვანნი აღმოჩნდნენ, მათ სასჯელად მხოლოდ როზგით დასჯა აკმარეს. რაც შეეხება ნ. ბარათაშვილის პატიმრობას 1833 წლის პირველ თვეებში, ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან მისი თანამედროვენი დ. გრიგორიევი და გრ. გურიელი (1819-1891). ეს უკანასკნელი იგონებს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკენო. მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო, ეს დაიწო და გამჩხრეკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა. ჩხრეკა გათავდა და ნ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი... მალე წავიდნენ და ნ. ბარათაშვილიც თან წაიყვანეს, ამის შესახებ სკოლაშიაც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს“ (ბალახაშვილი, 1968, გვ. 138-139).

ამ საკითხს ვრცლად ვეხებით ბარათაშვილის დასახელებული პირადი წერილის კომენტარში (ბარათაშვილი, 2015, 31-32), რის გამოც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

2. 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილში ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს:

„საყუარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ[იმიტრი] ჯ[ორჯაძე]მ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში, თუარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით. მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი, **მაგრამ ჩიმი ქუნიმ!**“

მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, ს[ავინოვ]ისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ. შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას, **შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!**“ (ბარათაშვილი, 2015, გვ. 61).

წერილის ამ ფრაგმენტის სტილისტიკურმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ გავრცელებული მოსაზრების (გიორგი ლეონიძე) საწინააღმდეგო აზრამდე, რომლის თანახმად აქ ნ. ბარათაშვილი იწონებს ბიძამისისა და სხვა სარდლების მიერ გურიის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობას. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ადრესანტის ფრაზებმა: „ჩიმი ქუნიმ!“ (ოდნავ დამახინჯებული სპარსული გამოთქმა („ჩე მიქონამ“), რომელიც ქართულად ნიშნავს – „რას ვიზამთ!“.), „შაბამ (აქ – ვაშა! ყოჩაღ! ბარაქალა!) [მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!]“ და იდიომმა „მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ“, („ჩახველება – მსუბუქი დაცინვა, ნათქვამზე ეჭვის მიტანა“ (სახოკია, 1979, გვ. 774)), რამაც მიგვახვედრა, რომ ნ. ბარათაშვილი არათუ იწონებს რუსული ჯარის მოქმედებას გურიაში, არამედ გმობს კიდევაც მას. ამ ფრაზით გამოხატა ნ. ბარათაშვილმა თავისი ირონია, საყვედური და მუნათი საკუთარი ბიძისა და სხვა ქართველი მხედრების მიმართ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოძმე გურულების აჯანყების ჩახშობაში და „ფარული, გულში ღრმად დამარხული წუხილი და ტკივილი სამშობლოს კოლონიური მდგომარეობისა და რუსეთის მიერ წარმოებულ იმპერიულ ომებში ქართველი მხედრების მონაწილეობის გამო“ (ცერცვაძე, 2019, გვ. 131-132).

3. 1842 წლის 2 მაისის წერილში ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერს:

„ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას“ (ბარათაშვილი, 2015, გვ. 81).

ორიოდე სიტყვა წერილში ნახსენებ „პოზინზე“. საუბარია რუს სახელმწიფო მოღვაწეზე მიხაილ პაველის ძე პოზენზე (1798-1871), რომელიც იყო 1861 წლის საგლეხო რეფორმის მონაწილე, სტატს-მდივანი (1836), საიდუმლო მრჩეველი (1842), მსხვილი მემამულე, წარმომობით აზნაური პოლტავის გუბერნიიდან და რომელიც 1842 წელს სამხედრო მინისტრ ალექსანდრ ივანის ძე ჩერნიშოვთან (1785-1857) ერთად საქართველოში სხვადასხვა დაწესებულებების სარევიზიოდ საგანგებო დავალებით იქნა მოვლინებული. მას შეუმოწმებია საქართველო-იმერეთის სასამართლოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პალატაც, სადაც იმხანად მუშაობდა ნ. ბარათაშვილი და ისე მოსწონებია მისი საქმის წარმოება, რომ საგანგებო ბრძანებაც გა-

მოუცია (ინგოროყვა, 1969, გვ. 57). ამჯერად წერილის ამ ფრაგმენტიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მისი ადრესანტი, სიტყვებით „ძლივს (sic!) საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა“, უნებურად ამჟღავნებს თავის საერთო უკმაყოფილებას თითქმის ყველა წინარე რუსი მმართველისა და ჩინოვნიკისადმი¹, რაც კიდევ ერთი დასტურია ნ. ბარათაშვილის უარყოფითი დამოკიდებულებისა რუსული მმართველობის, ბიუროკრატიისა და საქმისწარმოების მიმართ საქართველოში.

იმავე, 1842 წელს, მოხმობილი ბარათის დაწერიდან მალევე, დაახლოებით ორ თვეში იწერება ნ. ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. მას ეძღვნება მერაბ ღაღანიძის ერთი ანალიტიკური ესსეი, რომელიც „ტრადიციულ შეფასებათა ანტითეზაზზე აგებული“ (აბზიანიძე, 2012, გვ. 4) და რომლის ავტორი იმ სიკეთეებს შორის, „ბარათაშვილი და მისგვარად მოაზროვნენი“ რომ მოელოდნენ რუსეთისგან, საქართველოში ცივილიზებული ანუ სამოქალაქო ურთიერთობების და ცივილიზებული სამოქალაქო მმართველობის დამკვიდრებასაც ასახელებს. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი ფუჭი აღმოჩნდა, რადგან განსხვავებით ბევრი ევროპული იმპერიისაგან, რუსეთი ჯერ კიდევ არ ადგა შინაური ცხოვრების მოწყობის ამგვარ გზას და „მთელი მისი ისტორიის მანძილზე მოხელის (ჩინოვნიკის) გუნებაგანწყობა კანონის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო თვითმპყრობელი იმპერატორის ნება ნებისმიერ კანონს ენაცვლებოდა ან აღმატებოდა“ (ღაღანიძე, 2012, გვ. 317-323). მკვლევრის ამ რეფლექსიას, ვფიქრობთ, ამყარებს ზემოთ ციტირებული პასაჟი პოეტის იმ პირადი წერილისა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო ლექსზე ცოტახნით ადრე დაიწერა (მათი დათარიღების დაზუსტების საკითხი განხილულია ჩვენ ერთ-ერთი ბოლოდროინდელ ნაშრომში (ცერცვაძე, 2019, გვ. 103-107)).

4. 1845 წლის 10 აგვისტოს მურუტიდან მაიკო ორბელიანთან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

¹ შდრ. მისივე 1837 წლის თებერვლის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი: „*кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности*“ (ბარათაშვილი, 2015, გვ. 16) (რუს. „მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისათვის“), რაშიც ნ. ბარათაშვილი, ბუნებრივია, თავისი მაშინდელი სამსახურის რუს ჩინოვნიკებსაც გულისხმობდა.

„ხელთსაქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივისცემა კი არ გეგონოს, მრავლობითად რომ გეუბნები). რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ. მე კი არა გთხოვთ და, **თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ჯელმწიფე იმპერატორმა და, თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ**“¹ (ბარათაშვილი 2015: 209-210).

5. იმპერატორის ხსენებას მსგავს სინტაქსურ კონსტრუქციაში ვხვდებით ბაბალე საგინაშვილთან იმავე წლის 23 აგვისტოს ასევე მურუტიდან გამოგზავნილ წერილში: „ახლა შენ იცი, როგორც წიგნებს და ამბებს არ დამაკლებ. მერმე **მე ვიცი და მისს იმპერატორების დიდებულებამ**“ (ბარათაშვილი 2015: 225).

ხასგაზმულმა ხუმრობაშერეულმა ფრაზებმა თავდაპირველად ჩვენი ყურადღება ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სინტაქსის კვლევისას მიიპყრო. პოეტის ეს ნათქვამი თითქოსდა გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის მმართველი ჩვეულებრივ სამართლიანი და გულმოწყალეა (უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში). ამასთან, გამოვთქვით ფრთხილი ვარაუდი იმისაც, რომ ამ ხუმრობაში ადრესანტის მიერ „ჯელმწიფე იმპერატორის“ დამოწმება სამართლიან და გულმოწყალე ადამიანად, შესაძლოა, ირონიული ელფერის მატარებელიც იყოს. ვის-ვის და სოლომონ დოდაშვილის მოწაფესა და 1832 წლის შეთქმულების თანამგრძნობ ნ. ბარათაშვილს, ეჭვი არაა, კარგად მოეხსენებოდა სამართლიანობა და გულმოწყალეა „ევროპის ჟანდარმის“ მეტსახელით ცნობილი რუსეთის იმჟამინდელი იმპერატორის ნიკოლოზ I-ისა, ვინც, შეიძლება ეგულისხმა წერილის ადრესანტს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციისა და მრწამსის შესახებ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1 პაპუა ორჯონიკიძე – საზოგადოებაში ყბადაღებული პიროვნება, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, აზაშიძეების ვასალი, რომელიც მის მიერ ქართველი გლეხების ტყვეებად გაყიდვის გასამართლებლად აბსურდულ აზრებს გამოთქვამს.

პოეტის ბიოგრაფიული ეპიზოდები, თანამედროვეთა მოგონებები მასზე და, რაც მთავარია, მისივე პირადი წერილები, რომლებშიც ცენზურის გათვალისწინების მიუხედავად, სტრიქონებს შუა მაინც იკითხება ადრესანტის გულწრფელი აზრები, ცალსახად და არაორაზროვნად ცხადყოფს პოეტის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოს რუსეთის იმპერიისადმი დაქვემდებარებისა და დამპყრობლის მიერ ქვეყანაში გატარებული პოლიტიკის მიმართ, რაც მიჩნეულია ქვეყნის „დაღუპვად“ და გამოთქმულია უკმაყოფილება რუსული მმართველობის, საქმისწარმოებისა და ჩინოვნიკების მიმართ.

ამ საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს არ მოსწონს არათუ ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ გადადგმული იძულებითი ნაბიჯი, არამედ არც ის მსოფლმხედველობრივი გაორება, რომელზეც ხშირად მიუთითებდნენ პოეტის ცხოვრება-შემოქმედების მკვლევარნი ოდენ მის პოეტურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. ეს კი, ვფიქრობთ, გარკვეულწილად, რუსული პროპაგანდისა და იდეოლოგიური ზეწოლის გავლენით ხორციელდებოდა და დღესაც, სამწუხაროდ, ინერციით გრძელდება.

ჩვენი დასკვნა ემთხვევა იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ქართველი რომანტიკოსი პოეტი ნამდვილად არ იყო კმაყოფილი საქართველოს თავისუფლების დაკარგვით. ერთი მათგანი აკაკი ბაქრაძეცაა, რომლის სიტყვებითაც გვინდა დავასრულოთ წინამდებარე წერილი. ესაა ნ. ბარათაშვილის ლექსზე („საფლავი მეფის ირაკლის“) ერთი დაკვირვება, რომელიც მიემართება მის დასასრულს:

„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აქ შენნი ძენი“.

„ზემორე მოხმობილი სტრიქონები, – წერს აკაკი ბაქრაძე, – მხოლოდ ირონიას. სხვანაირად მისი წაკითხვა შეცდომაც არის და ნ. ბარათაშვილის დამცირება-დაკნინებაც“ (ბაქრაძე, 1989, გვ. 222).

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბზიანიძე, ზ. (2012). ქართული რომანტიზმი XXI საუკუნის თვალსაწიერიდან. ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი: „საარი“.
- ბალახაშვილი, ი. (1968). 1832 წლის შეთქმულების ნ. ბარათაშვილის ჯგუფი, „ცისკარი“, 9. თბილისი.
- ბარათაშვილი, ნ. (2015). პირადი წერილები. მოამზადა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მ. ცერცვაძემ, თბილისი: „არტანუჯი“.
- ბაქრაძე, ა. (1989). ნიკო ნიკოლაძე. თბილისი: „ნაკადული“.
- ბრეგაძე, ლ. (2017). ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი. მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმის „რომანტიზმი ლიტერატურაში ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“, მასალები. ნაწილი II, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- დოიაშვილი, მ. (2017). რომანტიკული ირონია და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმის „რომანტიზმი ლიტერატურაში ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“, თეზისები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია. მასალები (2022). თბილისი: „უნივერსალი“.
- ინგოროყვა, პ. (1969). ნიკოლოზ ბარათაშვილი. თბილისი: „მერანი“.
- მამაცოვი, კ. (1881). ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალა ბიოგრაფიისათვის), „დროება“, 206. თბილისი.
- სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი: „მერანი“.
- ლაღანიძე მ. (2012). რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“. ქართული რომანტიზმი: ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი: „საარი“.
- ცაიშვილი, ს. (1940). ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის. „ლიტერატურის მატიანე“, 1-2. თბილისი.
- ცერცვაძე, მ. (2019). XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი), თბილისი: „მერიდიანი“.

- ჭიჭინაძე, ზ. (1919). სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში, ტფილისი: სახელმწიფო სტამბა.
- ჯეირანაშვილი, ნ. (1997). „ფარული საზოგადოების“ წევრი, „ცისკარი“, 1997, 7. თბილისი.

References:

- Abzianidze, Z. (2012). Kartuli romant'izmi XXI sauk'unis tvalsats'ieridan, kartuli romant'izmi: natsionaluri da int'ernatsionaluri sazghvrebi, [Georgian romanticism from the perspective of the 21st century]. Tbilisi: „Saari“.
- Balakhshvili, I. (1968). 1832 Ts'lis shetkmulebis N. Baratashvilis jgufi. [N. Baratashvili's group of 1832 conspiracy]. „Tsiskari“, 9.
- Bakradze, A. (1989). Nik'o Nik'oladze. [Niko Nikoladze]. Tbilisi: “Nakaduli”.
- Baratashvili, N. (2015). P'iradi Ts'erilebi. [Personal Letters]. Moamzada, shesavali, k'oment'arebi, sadzieblebi da genealogiuri t'abulebi daurto M. Tsertsvadzem, Tbilisi: „Art'anuji“.
- Bregadze, L. (2017). Nik'oloz Baratashvilis Romant'izmi. [Romanticism of Nikoloz Baratashvili]. Me-11 saertashoriso simp'oziumis „Romant'izmi lit'erat'urashi ep'oqat'a da k'ult'urata gzajvaredinze“, masalebi. Nats'ili II, Tbilisi: Tsu gamomcemloba.
- Ch'ich'inadze, Z. (1919). Sol. Dodashvili da Nik'. Baratashvili „Paruli Sazogadoebis“ Ts'inashe da Nik'. Baratashvilis ideis aghordzineba kartul mts'erlobashi. [Sol. Dodashvili and Nik. Baratashvili before the “Secret Society” and Revival of Nik. Baratashvili's idea in Georgian Writing] Tbilisi: Sakhelmts'ipost'amba.
- Doiashvili, T. (2017). Romant'ik'uli ironia da Nik'oloz Baratashvilis „Bedi Kartlisa“. [Romantic irony and “Fate of Kartli” by Nikoloz Baratashvili]. Me-11 saertashoriso simpoziumis „Romant'izmi lit'erat'urashi ep'oqata da k'ult'urata gzajvaredinze“, tezisebi. Tbilisi: Tsu gamomcemloba.
- Ghaghanidze M. (2012). Ras gvauts'q'ebis dghes Nik'oloz Baratashvilis „Saplavi Mepis Irak'lisa. [What Nikoloz Baratashvili's “Tomb of King Irakli” tells us today. Tbilisi: „Saari“.

- Ilia Ch'avch'avadzis p'ersonaluri entsik'lop'edia. Masalebi (2022). [Personal encyclopedia of Ilia Chavchavadze. Materials]. Tbilisi: „Universali“
- Ingoroq'va, P'. (1969). Nik'oloz Baratashvili. [Nikoloz Baratashvili]. Tbilisi: „merani“.
- Jeiranashvili, N. (1997). „Paruli sazogadoebis“ ts'evri. [Member of the “Secret Society”]. Journ. „Tsisk'ari“, 1997, 7.
- Mamatsovi, K. (1881). Nik'oloz Baratashvili (Masala biograpiisatvis). [Nikoloz Baratashvili (Materials for Biography)]. „Droeba“, 1881, 206.
- Sakhok'ia, T. (1979). Kartuli khat'ovani sit'q'va-tkmani [Georgian Imaginative Words and Sayings]. Tbilisi: „Merani“.
- Tsaishvili, S. (1940). N. Baratashvilis biograpiisatvis.[For Biography of N. Baratashvili]. „Literaturis Matiane“, 1-2.
- Tsertsvadze, M. (2019). XIX sauk'unis p'irveli nakhevrის saqartvelos sazogadoebrivi garemo Nik'oloz Baratashvilis ep'ist'oluri memk'vidreobis mikhedvit (Akhali asp'ek'tebi, k'vleva, analizi). [The social environment of Georgia in the first part of the 19th century as reflected in the epistolary heritage of Nikoloz Baratashvili]. Tbilisi: „Meridiani“.